

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 6

21 აგვისტო 2012 წელი

ქ. ბათუმი

სხდომას თავმჯდომარეობდა	უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.
სხდომას ესწრებოდნენ:	ქეთევან ჯიქია, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე, თამარ ხოზრევანიძე, რამაზ ბოლქვაძე, ავთანდილ ჩახვაძე, დიმიტრი დარჩია, მამუკა ჯაში, ლილე ტეტემაძე, ნანა დავითაძე და ლევან გაბრიჩიძე.
აგრეთვე ესწრებოდნენ:	საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები და მასმედიის წარმომადგენლები.
მოისმინეს:	სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.
აზრი გამოთქვას:	კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.
კენჭისყრის შედეგი:	მომხრე 12; წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი

1. დადგენილება - 2012 წლის 1 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ;
2. განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;
3. განკარგულება - საარჩევნო ბიულეტენის ფორმის დამტკიცების შესახებ;

4. განკარგულება - საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში ცვლილების შეტანის შესახებ;

5. სხვადასხვა.

1. დადგენილება

2012 წლის 1 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო 2012 წლის 1 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის შესახებ დადგენილების პროექტი და განმარტა, რომ საარჩევნო სუბიექტს, რომელიც მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის ცესკოს მიერ მიენიჭა რიგითი ნომერი, აჭარის ა. რ. უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში მიენიჭება იგივე რიგითი ნომერი. საარჩევნო სუბიექტმა, რომელსაც სურს აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ცესკოს მიერ მინიჭებულისაგან განსხვავებული რიგითი ნომრით, განცხადებით უნდა მომართოს უსკოს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 35-ე დღისა. ასევე აღნიშნა, რომ კენჭისყრამდე 30-ე დღისა საარჩევნო სუბიექტებისათვის, რომლებიც ისარგებლებენ ზემოაღნიშნული უფლებით და ასევე იმ საარჩევნო სუბიექტებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ მხოლოდ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, რიგითი ნომრის მინიჭების მიზნით უსკოში გაიმართება წილისყრა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

გია გარსევანიშვილმა და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელმა კახაბერ სოფრომაძემ.

გია გარსევანიშვილმა აღნიშნა, რომ იმ საარჩევნო სუბიექტმა, რომელსაც სურს აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ცესკოს მიერ მინიჭებულისაგან განსხვავებული რიგითი ნომრით, უსკოს განცხადებით მომართოს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 37-ე

დღისა, ვინაიდან ცესკოში უკვე დამთავრად რიგითი ნომრის მინიჭების პროცედურა საარჩევნო სუბიექტებისათვის საკამარისია ეს დრო (კენჭისყრამდე არაუგვიანეს 37-ე დღისა) მომართონ უსკოს განცხადებით რიგითი ნომრის თაობაზე.

საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“-ს წარმომადგენელმა კახაბერ სოფრომაძემ აღნიშნა, რომ მიესალმება 2012 წლის 1 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ უსკოს მიერ მიღებულ ასეთ გადაწყვეტილებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება 2012 წლის 1 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი შენიშვნის გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 119-მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 45-ე მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. საარჩევნო სუბიექტს, რომელიც მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის მიენიჭა რიგითი ნომერი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში

მინიჭება იგივე რიგითი ნომერი. საარჩევნო სუბიექტმა, რომელსაც სურს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მინიჭებულისაგან განსხვავებული რიგითი ნომრით, ამის შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს უსკოს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 37-ე დღისა.

მუხლი 2. კენჭისყრამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა საარჩევნო სუბიექტებისათვის, რომლებიც ისარგებლებენ ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული უფლებით, ასევე იმ საარჩევნო სუბიექტებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში, რიგითი ნომრების მინიჭების მიზნით უსკოში იმართება წილისყრა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული საარჩევნო ბლოკი, რომლის შემადგენლობა განსხვავდება საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო ბლოკის შემადგენლობისაგან, მონაწილეობს წილისყრაში ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 4. ამ დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტს რიგით ნომერს წილისყრით ანიჭებს უმაღლესი საარჩევნო კომისია. წილისყრისას ნომრების რაოდენობა შეესაბამება წილისყრაში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რაოდენობას. რიგითი ნომრები იწყება საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიებისათვის/საარჩევნო ბლოკებისათვის და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისათვის მინიჭებული უმაღლესი რიგითი ნომრის მომდევნო ზრდადობითი რიცხვიდან.

მუხლი 5. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 6. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. განკარგულება

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვას: ლილე ტეტემამე და არჩილ მიქელაძემ.

კომისიის წევრმა ლილე ტეტემამემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ფორმაში სადაც ასახულია ჩანაწერი „ძალაშია პირადობის მოწმობასთან ერთად“ შემდგომში ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ხომ არ გაკეთებულიყო ჩანაწერი „ძალაშია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად“.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შემდგომში ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით უკეთესი იქნება წარმოდგენილ ფორმებში გაკეთდეს ჩანაწერი „ძალაშია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად“ რასაც დაეთანხმენ კომისიის წევრები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე	13;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების სააკრედიტაციო ბარათი (ფორმა №6-07.26.02);

ბ) უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მოწმობა (ფორმა №6-07.37.02);

გ) ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობა საარჩევნო ოლქში (ფორმა №6-07.39.02);

დ) ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობა საარჩევნო უბანში (ფორმა №6-07.40.02);

ე) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების სააკრედიტაციო ბარათი საოლქო საარჩევნო კომისიაში (ფორმა №6-07.45.02);

ვ) უმაღლესი საბჭოს წევრის დროებითი მოწმობა (ფორმა №6-07.61.02);

ზ) საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებლის მოწმობა (ფორმა №6-07.66.02).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება

საარჩევნო ბიულეტენის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საარჩევნო ბიულეტენების ფორმის დამტკიცების

შესახებ განკარგულების პროექტი. კომისიას წარუდგინა როგორც პროპორციული ასევე მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენების ფორმები, ისაუბრა საარჩევნო ბიულეტენის ფერის, ფორმის და სხვა თვისობრივ მახასიათებლებზე.

აზრი გამოთქვას:

დიმიტრი დარჩიამ და კახაბერ სოფრომაძემ

კომისიის წევრი დიმიტრი დარჩია დაინტერესდა თუ რამდენი ფურცელი და რა ფერის იქნებოდა საარჩევნო ბიულეტენები.

საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა კახა სოფრომაძემ კომისიას სთხოვა ბიულეტენების დაბეჭდვისას გათვალისწინებული ყოფილიყო ბიულეტენების ხარისხი და სისქე, ვინაიდან ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანი არ ყოფილიყო გამჭვირვალე და შესამჩნევი თუ რა ნომერი შემოხაზა.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ცესკოსა და უსკოს ერთობლივი შეხვედრის დროს კომისიის წევრების მოსაზრებების გათვალისწინებით შეთანხმებული და გადაწყვეტილი იქნა, რომ საარჩევნო ბიულეტენის დაბეჭდვის ორგანიზებას განახორციელებს ცესკო.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საარჩევნო ბიულეტენის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე	13;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის დამტკიცდეს შემდეგი სახის საარჩევნო ბიულეტენების ფორმა თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) პროპორციული საარჩევნო ბიულეტენის ფორმა (№2-07.47.04);

ბ) მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენის ფორმა (№2-07.48.04).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება

საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის,

73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 აგვისტოს №10 დადგენილების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 აგვისტოს №4 განკარგულებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში „გრაფა არაუგვიანეს 37-ე დღისა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

არაუგვიანეს 37-ე დღისა	25 აგვისტო შაბათი	<p>1. მთავრდება საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისათვის საარჩევნო კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის პროცედურები (აჭარის ა.რ. კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ მუხლი 38 პუნქტი 7).</p> <p>2. საარჩევნო სუბიექტების მიერ რიგითი ნომრის თაობაზე უსკოსთვის მიმართვის ბოლო დღე (უსკოს განკ. №).</p>
------------------------	-------------------	---

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 აგვისტოს № 10 დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან.

ხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი

ქ. ჯიქია